აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ღონისძიებებათა დაიჯესტი

საარქივო სამმართველოში **9 აპრილისადმი მიძღვნილი გამოფენა** მოეწყო. ფოტოებზე ასახულია ქართველი ხალხის სიმტკიცე, ერთიანობა და იმედით სავსე ბრძოლა სამშობლოსთვის. თითოეული კადრი გვიყვება ისტორიას ადამიანებზე, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს საქართველოს თავისუფლებას. მარადიული ხსოვნა 9 აპრილის გმირებს.





***

2026 წლის 25-27 მაისს საარქივო სამმართველოში მოეწყო **საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფოტო - დოკუმენტების გამოფენა**

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026




***

2026 წლის 2 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს სტუმრობდა **აზერბაიჯანის გენერალური კონსული ფუად აზიზოვი.**

სტუმრებს შეხვდა და უმასპინძლა საარქივო სამმართველოს უფროსი ბესიკ ბაუჩაძე. საარქივო სამმართველოს უფროსმა და აზერბაიჯანის გენერალურმა კონსულმა ისაუბრეს საარქივო დაწესებულებების, როგორც ერის ისტორიული მეხსიერების როლსა და მნიშვნელობაზე.




***

აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ რავშან ბეჟანიძემ და აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსმა, ბესიკ ბაუჩაძემ ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების **ტერიტორიული არქივები** მოინახულეს.



ვიზიტის ფარგლებში, ადგილობრივი საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან სა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მუშაო შეხვედრები გაიმართა, სადაც არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

***

2026 წლის 9 ივლისს, აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო-ხელვაჩაურის არქივში გაიმართა **დავით მამულაძის 115 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.**

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი ბესიკ ბაუჩაძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეები: ანზორ თხილაიშვილი, ასლან ლორთქიფანიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები და საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო ხელვაჩაურის არქივის თანამშრომლები.

მოხსენებით: „დავით მამულაძის ცხოვრება და ღვაწლი“ საზოგადოების წინაშე წარსდგა თამაზ ფუტკარაძე-საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი, ბსუ-ს პროფესორი. სიტყვით გამოვიდნენ: ასლან ლორთქიფანიძე - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, სერგო დუმბაძე და ნოდარ ბარამიძე - ემერეტუს პროფესორები და დავით მამულაძე - დავით მამულაძის შვილიშვილი.



***

2026 წლის 7 აგვისტოს, აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - **„1700 წლის წინანდელი არჩევანი“.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსი ბესიკ ბაუჩაძე, უფროსის მოადგილე რამაზ ბოლქვაძე, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები და ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლები.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოებასთან, მასმედიასთან, საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ. მოხსენებით — **„1700 წლის წინანდელი არჩევანი“** — წარსდგა თეოლოგი ზაზა კილაძე. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ისტორიულ-თეოლოგიურ კონტექსტსა და ეპოქის მნიშვნელობაზე.

ღონისძიება დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. სიტყვით გამოვიდა ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსი ელგუჯა გოგიბერიძე. შეხვედრამ თვალსაჩინო და პროფესიულ გარემოში ჩაიარა.





***

2026 წლის 5-6 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება — საარქივო სამმართველოში ჩატარდა მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო:ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ყაზახეთის, უკრაინის და ისრაელის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

ორდღიანი კონფერენციის ფარგლებში განხილული იქნა საარქივო საქმის წარმოების თანამედროვე ტენდენციები, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების შენახვის და ციფრულ ეპოქაში ადაპტაციის საკითხები, საქართველოს ისტორიის პრობლემები.





CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026